

სოფლის
მეურნეობის
სამეცნიერო-
კვლევითი ცენტრი





სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: აგრარული მეცნიერებების, სოფლის მეურნეობისა და სურსათის წარმოების განვითარების მეცნიერული მხარდაჭერა, მცენარეთა და ცხოველთა აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნება, სელექციური პროცესების წარმართვა, ჯიშთა გამოცდა, საკოლექციო ნარგაობებისა და გენბანკის შექმნა, ცხოველთა ხელოვნური განაყოფიერებისა და სანაშენე საქმიანობის ხელშეწყობა, თესლისა და სარგავი მასალების სტანდარტებისა და სერტიფიცირების სისტემის შემუშავება და განხორციელება, ყურძნის, ხილისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების თანამედროვე მეთოდების კვლევა-გავრცელება, მცენარეთა მავნებელ დაავადებებთან ბრძოლის ინტეგრირებული დაცვის სისტემების შემუშავება, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სამანქანო ტექნოლოგიების სრულყოფა, ახალი ტექნოლოგიების გავრცელება, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში რისკის შეფასების უზრუნველყოფა, ბიომეთოდების შემუშავება, ბიომეურნეობების განვითარების ხელშეწყობა და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ პირთა ექსტენციის თანამონაწილეობა.

ინფრასტრუქტურა

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს სახელმწიფო საკუთრებაში და მმართველობის უფლებით გააჩნია კეთილმოწყობილი სასოფლო-სამეურნეო ბაზები, თანამედროვე ლაბორატორიები და საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთები:

- ერთწლოვანი (მარცვლოვანი, პარკოსანი, ბოსტნეული, ბალჩეული, ტექნიკური) კულტურების საკვლევ-სადემონსტრაციო ბაზა;
- თესლის გენეტიკური ბანკი;
- სტანდარტების და სერტიფიცირების სამსახურის საგამოცდო ლაბორატორია;
- თესლის ხარისხის ლაბორატორია;
- მცენარეთა მიკროკლონური (in vitro) გამრავლებისა და უვირუსო სარგავი მასალის კვლევის ლაბორატორია);
- მოლეკულური მარკირების ლაბორატორია (დნმ)ლაბორატორია;
- პროფ. ივანე სარიშვილის სახელობის ნიადაგის კვლევის ლაბორატორია;
- მეაბრეშუმეობის სადგური;
- ბოსტნეული კულტურების და ჰიდროპონიკის სათბურები;
- მეცხოველეობის სანაშენე, სასელექციო-კვლევითი სადგური (სოფ. განთიადი, დმანისის მუნიციპალიტეტი);
- შინაური ცხოველებისა და ფრინველების საცდელ-სადემონსტრაციო საკვლევე ფერმა (კრწანისი);
- მეფუტკრეობის სანაშენე ბაზა (სოფ. მუხური, ჩხოროწყის მუნიციპალიტეტი);
- სასელექციო, ჯიშთა გამოცდის სადემონსტრაციო ნაკვეთები საქართველოს 24 მუნიციპალიტეტში;
- შპს „ირმა ჭანტურიას სახელობის ღვინის ლაბორატორია“- (თბილისი);
- შპს „აღამ ბერიძის სახელობის ნიადაგის, სურსათის დიაგნოსტიკის,მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის ცენტრი „ანასეული“ - (სოფ. ანასეული, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი).

2023 წელს, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში აგრარული სექტორის განვითარების მეცნიერული მხარდაჭერის, მცენარეთა და ცხოველთა აგრო-ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების, თანამედროვე ტექნოლოგიების კვლევისა და დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, საქმიანობა ხორციელდებოდა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

მრავალწლოვანი კულტურების აგროტექნოლოგიების სრულყოფა-შემუშავება და გენოფონდის შენარჩუნება:

- ჯილაურას მრავალწლოვანი კულტურების საკოლექციო ნარგაობა გამდიდრდა ხეხილოვანი კულტურების 12 ახალი: ყოლოს - 4, ფსტის - 3, ტყემლის - 3 და გოჯი ბერის - 2 ნიმუშით;
- ყვარლისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში, ადგილობრივ პირობებში თხილის ინტენსიური ბაღის მოწყობის სხვადასხვა მიდგომების შესწავლის მიზნით, მოეწყო თხილის ინტენსიური ბაღის სხვა-ფორმირების ახალი ნაკვეთი;
- ხეხილის ბაღებში მაღალი და რეგულარული მოსავლის მიღების, ასევე ადგილობრივი პირობებისთვის საჭირო სხვა-ფორმირების ახალი ტექნოლოგიების ადაპტაცია-შემუშავების მიზნით, გაშენდა ვაშლისა (გოლდენ დელიშესი, აიდარედი) და თხილის (2 ჯიში ანაკლი-

ური და ჯიფონი) ინტენსიური ბაღის ახალი ექსპერიმენტული ნაკვეთები (0,1-0,1 ჰა);

- ხეხილის ბაღებში განხორციელდა ბიომეტრიული აზომვები, შეიქმნა მონაცემთა ბაზა;
- აღირიცხა გაშენებულ ბაღებში პირველი მოსავალი, რომელმაც შეადგინა 4-6 კგ; მაღალმოსავლიანობის კუთხით გამოიკვეთა ჯიში - გალა ვენუსი;
- კოლექციაში განხორციელდა:
 - ფენოლოგიური ფაზების შესწავლა ხეხილოვანი კულტურების 8 ნიშნის მიხედვით;
 - ფოთლისა და ყვავილის მორფოლოგიური აღწერა, ინტენსივობის შეფასება;
 - ნაყოფის მექანიკური და ქიმიური ანალიზი მათი 10 პომოლოგიური ნიშნისა და ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით;
- განისაზღვრა მოსავლიანობა 2 მაჩვენებლის (ერთი ხის საშუალო კგ-ში და ტ/ჰა-ზე) მიხედვით;

2023 წლის მდგომარეობით, საკოლექციო ნარგაობაში წარმოდგენილია 26 დასახელების ხეხილოვანი კულტურის 488 ჯიში, ფორმა და ნიმუში. მათ შორის :

- ადგილობრივი ჯიშები, ფორმა და ნიმუშების კოლექცია: 220 ერთეული;
- საძირე - 16;
- ინტროდუცირებული ჯიში - 252 ;



მარცვლოვანი კულტურების ადგილობრივი გენოფონდის მოძიება-კონსერვაცია, ნიადაგურ-კლიმატურ პირობებთან ადაპტაცია, ბიოქიმიური და კომერციული მარკინებალების შესწავლა, ჯიშთა გამოცდა:

- თავთავიანი კულტურების შემდგომი კვლევის მიზნით, 4 მუნიციპალიტეტში (ახალქალაქი, დედოფლისწყარო, მცხეთა, მესტია) 3,710 ჰა ფართობზე დაითესა საშემოდგომო კულტურები და ჯიშები. კვლევები გრძელდება.
- აღდგენილია და გამრავლებულია ქართული ხორბლის: დოლის პურის 9 ჯიში; კოლხური ასლი, გვაწა ზანდურის სახეობები;
- დადგენილი იქნა ხორბლის 12 პერსპექტიული ხაზის გენოტიპი;
- გამოიცადა (საკონკურსო, წინასწარი, საკონტროლო სანერგე) ხორბლის 50 და სიმინდის 10 ჰიბრიდული ფორმა;
- ქერის ახალი ნიმუშების მოძიების მიზნით, ექსპედიციები განხორციელდა დედოფლისწყაროს, ფშავ-ხევსურეთსა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში;
- საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში, სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების აღდგენის, პოპულარიზაციისა და გაცნობის მიზნით, მოეწყო თავთავიანი და ერთწლოვანი კულტურების სადემონსტრაციო ნაკვეთები;
- გამორჩეული ფორმების შესწავლისა და გამრავლების მიზნით, საქართველოს განსხვავებულ აგროეკოლოგიური ზონის ცხრა მუნიციპალიტეტში განხორციელდა თავთავიანი კულტურების: - ხორბალი, ტრიტიკალე, ჭვავი, ქერი, შვრია - სამეურნეო და მორფოლოგიური მახასიათებლების შესწავლა;
- მოძიებულია ქერის 10 ადგილობრივი ჯიში.
- UPOV-ის მიერ შემუშავებული მეთოდის მიხედვით მომზადდა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების ეროვნულ კატალოგს დაემატა ქართული ხორბლის 2 სახეობა (კოლხური ასლი, გვაწა ზანდური), 3 ადგილობრივი ჯიში (ჯავახეთის დიკა, თეთრი იფქლი, კორბოლის დოლის პური) და შვრიის ერთი ახალი ჯიში (არგო);
- ქართული ხორბლის ჯიშების სერტიფიცირებული თესლის მისაღებად განხორციელდა პირველადი მეთესლეობა;
- გრძელდება საერთაშორისო სანერგეებიდან გამორჩეული საშემოდგომო და საგაზაფხულო ხორბლისა და ქერის პერსპექტიული ფორმების გამოცდა;
- სიმინდის კულტურის სელექციისა და პირველადი მეთესლეობის მიმართულებით კვლევითი სამუშაოების შედეგად, ხელოვნური ჰიბრიდიზაციით მიღებულია სელექციური მასალა -1200 ტარო მათი შემდგომი შესწავლის მიზნით. შერჩევით სანერგეებში მიღებულია -550 ტარო, სულ 1750 ტარო, 195 კგ.
- მიღებულ იქნა სიმინდის ჰიბრიდი „წილკანი 1“ პირველი თაობის -1600კგ სათესლე მასალა ტაროში; შავი სიმინდის - 5კგ და კაჟოვანა თეთრის -3 კგ თესლი; ჯიში „ქართული კრუგი“-ს სელექციის სათესლე მასალა 300 კგ ტაროში (გორის მუნიციპალიტეტი);
- 2023 წელს თავთავიანი კულტურების მოსავალმა შეადგინა 11950კგ: დედოფლისწყარო - 1160 კგ., მცხეთა-მთიანეთი (წილკანი) - 1200კგ., თელავი - 1450 კგ., ახალციხე - 4800კგ., ადიგენი - 1040 კგ. და ახალქალაქი - 2300კგ.
- პირველადი მეთესლეობით მიღებული წმინდა მასალა გადაეცა ფერმერებს;
- 2023 წლის მოსავლიდან სახელმწიფოს გადაეცა სულ 6382 კგ ხორბლის სერტიფიცირებული საბაზისო სათესლე მასალა.
- ხორბლის გამორჩეული ფორმა „ხვამლი“ - გადაეცა საქპატენტს დასარეგისტრირებლად;

ბოსტნეული კულტურების გენოფონდის მოძიება, აღდგენა, შენახვა, გავრცელების ხელშეწყობა:

- დღესათვის, კოლექციაში დაცულია 26 კულტურის 1472 ჯიში და ფორმა;
- მცენარეთა თესლის გენეტიკური კოლექცია გამდიდრდა: ხორბლის - 300, სიმინდის - 50, ლობიოს - 30, ფეტვის - 9, სორგოს - 10 და ღომის 4 ახალი ნიმუშებით;
- ერთწლოვანი კულტურების ცნობადობის ამაღლების მიზნით, საშემოდგომო კულტურები: მუხუდო, ოსპი, ცულისპირა, ცერცვი, ასევე ხახვისა და ნივრის - 2-2 ჯიში და და ნივრის ორი პერსპექტიული ფორმა დაითესა მთიან რეგიონებში: სვანეთში, მთიულეთში, ფშავსა და ხევსურეთში;
- ერთწლოვანი კულტურების სელექციის მიზნით, კვლევები გრძელდებოდა ლობიოს, ცულისპირას, მუხუდოს, ხახვისა და პომიდვრის ჯიშებზე;
- სელექციის მეთოდების გამოყენებით მიიღებული და შერჩეული იქნა პომიდვრის 15 სელექციური ფორმა, რომელთაგან ნაყოფის გემოვნური მახასიათებლების შეფასებისას გამორჩეული იქნა პომიდვრის 4 ნიმუში;
- მუტანტური თაობების შესწავლის და დაკვირვების მიზნით, წილკნის ბაზაზე ხორციელდებოდა კვლევები ხახვის - 'საშემოდგომო', მუხუდოს - „ელექსირი“, ლობიოს 3 „კუტი საპარკე“, „გურული“ და „ჯუმი“ ჯიშების და ცულისპირას „# 7“ ფორმის სათესლე მასალებზე;
- შემდგომი კვლევების წარმოებისა და შესწავლის მიზნით მიღებულია ლობიოს M7 თაობის 11 ნიმუში;
- წილკნის ბაზაზე გრძელდებოდა სელექციური ცდები ყინვაგამძლე პარკოსან კულტურებზე: მუხუდო, ოსპი, ცერცვი და ცულისპირა;
- შესწავლილ იქნა მუხუდოს 14 ფორმა მათი ყინვისა და გვალვის, დაავადებებისა და მავნებლების მიმართ გამძლეობაზე; აღირიცხა და განისაზღვრა საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა;
- მიღებულ იქნა: 3 კგ. სუპერ ელიტური თესლი, ჯიშის „პაბლო“ 1კგ.თესლი; მუხუდოს ჯიშის „ელექსირი“ 103 კგ ელიტური მარცვლი, ცერცველას ჯიშის „ახაქალაქი“ – 2,6 კგ თესლი; ლობიოს 4 იდენტიფიცირებული ჯიშის: „კუტი საპარკე“ 1 კგ. მარცვალი, „მუხრანულა“ 4 კგ, „გურული 1152“ 8 კგ და „ჯუმი“ 9 კგ.;
- შესწავლა გრძელდებოდა საერთაშორისო ორგანიზაციიდან ICARDA- დან მიღებულ ცულისპირას სელექციურ მასალაზე;
- კოლექციის განახლების მიზნით, კვლევები განხორციელდა საქართველოს მასშტაბით მოძიებული ლობიოს სხვადასხვა ჯიშებზე, ფორმებსა და ინტროდუცირებულ მასალაზე; სულ 106 ნიმუშზე;



- მიღებულია პომიდვრის, კიტრის, წიწაკის, ნესვის, საზამთროს კულტურების 12,801 კგ. სათესლე მასალა;
- გამოირჩა და “UPoV”-ის დისკრიპტორების მიხედვით აღწერილ იქნა ნივრის 3 პერსპექტიული ფორმა;
- ნივრის საკოლექციო სანერგედან გამორჩეული იქნა 8, ხოლო სელექციური სანერგედან - 6 პერსპექტიული ფორმა შემდგომი კვლევების მიზნით;
- საგაზაფხულო ხახვის სანერგეში შესწავლილი 10 ფორმიდან გამორჩეული იქნა 6 ფორმა (2 შემოტანილი და ოთხი ადგილობრივი).
- მუშაობა გრძელდება ხახვის ორ ადგილობრივ აღდგენილ ჯიშზე: „ ვანი“ და „ მარნეულის მრავალბოლოქვიანი“;
- ბაზაზე მიღებულია ხახვის „ ვანი“ და „ მარნეული მრავალბოლოქვიანი“- 180.0 კგ.სათესლე მასალა და ნივრის „მესხური“ 120.0 კგ.;
- გრძელდებოდა მრავალწლოვანი და ნაკლებად გავრცელებული ბოსტნეული კულტურების - სატაცური და არტიშოკი - მცენარის განვითარების შესწავლა მარნეულისა და წილკანის ბაზებზე; მცენარეთა ვეგეტაციის პერიოდში ხორციელდებოდა ნაკვეთების ფიტოსანიტარული მონიტორინგი;
- ბაზებზე მოყვანილი სატაცურის მოსავალი 418 კგ - გადაეცა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს.
- მოეწყო წილკანის ბაზაზე სელის ინტროდუქციური და ადგილობრივი საბუთე ჯიშების საკოლექციო/სადემონსტრაციო ნაკვეთი;
- გასული 2023 წლიდან წილკანის ბაზაზე დაიწყო სალათის კულტურის მოყვანის საცდელი ეტაპი ჰიდროპონიკური ტექნოლოგიით აღჭურვილ სათბურში, რომელიც ისრაელის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტოს „მაშავის“ მიერ დაფინანსებული პროექტის „სოფლის მეურნეობის სადემონსტრაციო ჰაბის ფარგლებში მოეწყო წილკანის სადემონსტრაციო ბაზაზე;
- ვეგეტაციის პერიოდში ხორციელდებოდა დაკვირვება ჰიდროპონიკურ აუზში გადატანილი სალათის მცენარეებზე; კვლევები გრძელდება.

თესლისა და სარგავი მასალის წარმოების განვითარების მხარდაჭერა:

- მცენარეთა გენეტიკური რესურსების შეგროვების მიზნით, ექსპედიციები განხორციელდა სამცხე ჯავახეთში, გურიაში, იმერეთში, სამეგრელოში.
- მოძიებულ და შეგროვილ იქნა ხორბლის 11 ნიმუში, სიმინდის 90, ლობიოს 100 ნიმუში.
- საერთაშორისო დონეზე, ხორბლის, სიმინდის, ლობიოს კოლექციების შესავსებად შესწავლილი იქნა გატერსლებების და აშშ გენბანკებში განთავსებული სხვადასხვა დროს საქართველოდან გატანილი გენეტიკური რესურსები, გამოწერილი იქნა ნიმუშების შემდეგი რაოდენობა: GRIN-დან – სიმინდის 7 ნიმუში, ლობიოს 8 ნიმუში, ხორბლის 212 ნიმუში სულ 227, IPK-დან გამოწერილი იქნა 1773 ნიმუში (ხორბალი 257, ლობიო -1219, სიმინდი - 301 სიმინდი).
- ადგილობრივ დონეზე ეროვნული ბოტანიკური ბაღიდან მიღებული იქნა ხორბლის 44 ნიმუში.
- სახეობრივი იდენტიფიკაციისათვის დაითესა ექსპედიციაში შეგროვებული ხორბლის 11, ბოტანიკური ბაღიდან მიღებული 45 და ადგილობრივი კოლექციის 30 ნიმუში.
- გენეტიკური რესურსების გენბანკში სამუშაო კოლექციის სახით შენახული იქნა სიმინდის ადგილობრივი ჯიშების 150, ლობიოს ადგილობრივი ჯიშების 134, ასევე ძაძას 35 ნიმუში, სოიას 4, ცერცვის 1, ცულისპირას 1 და მუხუდოს 2 ნიმუში.
- მინდვრის კულტურების გენბანკში ex-situ კონსერვაციის სახით ინახება პარკოსანი კულტურების ნიმუშები, მათ შორის ლობიოს 10 ჯიში, (წითელი ადგილობრივი Phaseolus vulgaris ‘Mindvris Tsiteli’; ჩიტკვერცხა Phaseolus vulgaris ‘Chitikvertskha’; ბათუმელა Phaseolus vulgaris ‘Batumela’; ქონა Phaseolus vulgaris ‘Qona’; ბორჯომულა Phaseolus vulgaris ‘Borjomula’; დედოფალა Phaseolus vulgaris ‘Dedophala’; შვიდკვირია Phaseolus vulgaris ‘Shvidkviria’; შულავერა Phaseolus vulgaris ‘Shulavera’; მერცხალა Phaseolus vulgaris ‘Mertskhala’ და გურულა Phaseolus vulgaris ‘Gurula’) რაც 34 ნიმუშის სახითაა წარმოდგენილი, მუხუდოს ერთი ჯიში - „სარკინეთი“ Cicer arietinum L. ‘Sarkineti’ და ძაძას კულტურის 34 ფორმა, რომელიც კვლევის ფაზაშია.

- ჩატარებული ექსპედიციების შედეგად პარკოსნების კოლექციას დაემატა ლობიოს 100 ნიმუში, ძაძას 1 ნიმუში, სოიას 4, ცერცვის 1, ცულისპირას 1 და მუხუდოს 1 ნიმუში.
- განახლდა ხორბლის, სიმინდის და პარკოსანი კულტურების ჯიშების ex-situ სამუშაო კოლექცია. ამჟამად მინდვრის კულტურების გენბანკში ინახება:
 - ხორბლის კულტურის 500 ინდენტიფიცირებული ნიმუში.
 - სიმინდის კულტურის ინდენტიფიცირებული 150 ნიმუში;
 - ლობიოს კულტურის 10 ჯიში და 134 ნიმუში
- ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო გაერთიანების (UPOV)-ის მეთოდის მიხედვით დახასიათებულია ლობიოს შემდეგი ადგილობრივი ჯიშები: წითელი ადგილობრივი, ჩიტვიკვერცხა, ქონა, ბორჯომულა, დედოფალა, შვიდკვირია, შულავერა და მერცხალა.
- ეროვნულ კატალოგში შევიდა: 59 ჯიში, მათ შორის ვაზის - 53, ხორბლის - 5 და შვრია - 1 ჯიში.
- 2019-2023 წწ ეროვნულ კატალოგში შეტანილია - სულ 103 ჯიში. მათ შორის:
 - ხორბლის - 21 ჯიში: ადგილობრივი - 10, სელექციური - 3, ინტროდუცირებული - 8;
 - შვრია - სელექციური ჯიში -1;
 - ვაზის 81 ჯიში: ადგილობრივი - 79, სელექციური - 2;
- გრძელდება ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების ხორბლის და ვაზის სერტიფიცირება;
- დარეგისტრირდა სათესლე და სარგავი მასალის 8, მათ შორის 1 სარგავი მასალის მწარმოებელი კომპანია.
- შემოწმებულ იქნა 24 მწარმოებელი მათივე განაცხადის საფუძველზე, რომელთაგან 24 - ხორბლის, ხოლო 3 - სარგავი მასალის მწარმოებელია;
- ხორბლის კულტურის შემდეგი ჯიშების საველე ინსპექტირება ჩატარდა OECD-ის (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაცია) სქემების დაცვით;
- სერტიფიცირებული იქნა ხორბლის კულტურის 383.88 ჰა, სერტიფიცირებული სათესლე მასალა 1804.032 ტონა.
- გაიცა ხორბლის კულტურის სათესლე მასალის ხარისხის დამადასტურებელი - 38 სერტიფიკატი.
- სარგავ მასალაზე გაიცა 3 სერტიფიკატი სამ ვაზის ჯიშზე: შარდონე (3576 ცალი), საფერავი (5777) და რქაწითელი (26800), სულ 36153 ცალი ნერგი, რომელიც ეტიკეტირებული და დაფასოებული იყო (50-50 ცალად). შესაბამისად მომზადდა და დაიბეჭდა სულ 724 ეტიკეტი.
- სარგავ მასალაზე გაცემულია 41 სერტიფიკატი;
- მიმდინარე წელს პროგრამა „დანერგე მომავალი“-დან შემოსული განაცხადების საფუძველზე, სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დაცვის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად 49 სანერგე მეურნეობის საქმიანობის შესწავლა, მათგან 33 სანერგე მეურნეობას მიენიჭა კვალიფიციური სანერგე მეურნეობის სტატუსი.
- გრძელდება სარგავი და სათესლე მასალის მწარმოებელთა რეესტრის სრულყოფა



მცენარეთა ინტეგრირებადი დაცვის სისტემების კვლევა:

- გრძელდება ვაზისა და თხილის ვირუსული, ბაქტერიული და ფიტოპლაზმური დაავადებების კვლევა, პოლიმერაზას ჯაჭვური რეაქციის (PCR) და იზოთერმული ამპლიფიკაციის (LAMP) თანამედროვე მეთოდებით; შესწავლილი და დაზუსტებულია თხილის 2 ბაქტერიული, 2 ვირუსული, ვაზის 7 ვირუსული, 2 ფიტოპლაზმური დაავადების სიმპტომები და გავრცელების არეალი.
- უვირუსო სარგავი საბაზისო მასალის წარმოების მიზნით, EPPO-ს სტანდარტების მიხედვით 8 ვირუსულ ინფექციაზე ჩატარებულია 20-ზე მეტი ვაზის ადგილობრივი ჯიშის 1000-მდე მცენარის ტესტირება;
- გრძელდება ღონისძიებები თხილისა და სხვა ხეხილოვანი კულტურების ძირითადი მავნებლების (აზიური ფაროსანას და სხვა) ბიოაგენტების ძიების მიზნით;
- გამოვლინდა აზიური ფაროსანას აგენტი-პარაზიტი-ადგილობრივი სასარგებლო მწერი: *Anastatus bifasciatus*;
- მარნეულის რაიონში განხორციელებული ხურმის ბაღების ფიტოსანიტარული მონიტორინგის შედეგად იდენტიფიცირდა დაავადება ამბროზიის ხოჭო და ხის ფესვებზე არსებული ღრავის მატლი; გაიცა რეკომენდაციები;
- კენკროვანი კულტურების ორგანიზმების გამოვლინება-შესწავლა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ეკოლოგიურად უსაფრთხო ინტეგრირებული სისტემის შემუშავების მიზნით, კულტურების მგომარეობის შესწავლის მიზნით განხორციელდა ექსპედიციები სამტრედიის, ოზურგეთისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში;
- დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში, ჩატარდა თხილის, სხვა ხეხილოვანი და კენკროვანი კულტურების ფიტოსანიტარული მონიტორინგი;
- ხეხილოვანი კულტურების ძირითადი მავნებლების მონიტორინგის და მათ წინააღმდეგ ბიოპრეპარატების (ლეპიდინი, ტურინგინი, სერენადე და სხვა პრეპარატები) გამოცდის მიზნით, ჩატარებული ფიტოსანიტარული მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა და შეფასდა დაავადებებისა და მავნებლის გავრცელების სიხშირე და დაისახა ბრძოლის ღონისძიებები;
- აღმოსავლეთ საქართველოში გამოვლინდა თხილის ძირითადი დაავადებები,
- დადგინდა და დაზუსტდა მათი გამომწვევი პათოგენების სახეობრივი შემადგენლობა და მათი ბიოეკოლოგია;
 - დადგინდა მავნებლობით გამორჩეული მავნებელ-დაავადებათა გავრცელებასა და განვითარებაზე მოქმედი ბიოტური და ეკოლოგიური ფაქტორების როლი;
 - ზეთისხილის ბაღებში გავრცელებული მავნე ორგანიზმების ფიტოსანიტარული კონტროლისა და ინტეგრირებული მართვის მიზნით, (სილნადი, დედოფლისწყარო, ტარიბანა) ჩატარდა ფიტოსანიტარული მონიტორინგი ძირითადი მავნე ორგანიზმების (მავნებლები, დაავადებები, სარეველები) გამოვლენის და დადგენის მიზნით;
 - შესწავლილ იქნა ზეთისხილის დაავადებების მიმართ გამძლე და მიმღებიანი ჯიშები; გამოვლინდა - გემლივი;
 - ლაბორატორიულ პირობებში განხორციელდა დაავადებების გამომწვევების სახეობრივი შემადგენლობის დადგენა;
 - თხილისა და კენკროვან კულტურებში გამოვლინდა აქამდე უცნობი სოკოვანი და ბაქტერიული დაავადებები, ასევე დომინანტური სარეველები;
 - ექსპედიციების შედეგად, ვიზუალურად დათვალიერებულ იქნა 500-მდე მცენარე, შერგოვდა 100-მდე ნიმუში საანალიზოდ. თხილის ბაქტერიული კიბოს გამომწვევი ბაქტერიული პათოგენის - *Pseudomonas avellanae* -ს კვლევა განხორციელდა qPCR მეთოდით;



- გამოვლინდა თხილის ვირუსული ინფექციის და ბაქტერიული სიდამწვრის გამომწვევი პათოგენის - ბაქტერია *Xanthomonas arboricola*.
- ჯანსაღი სარგავი მასალის წარმოების ხელშეწყობის მიზნით, განახლდა ვაზის და ხეხილის უვირუსო სადედე მცენარეების განლაგების სქემები: სულ შემოწმდა 250 მცენარე. უვირუსო აღმოჩნდა 123, ხოლო ვირუსის შემცველი - 107 მცენარე.
- კახეთის რეგიონში შეგროვებული ვაზის ნიმუშებიდან მოხდა ფიტოპლაზმური დაავადების - ოქროსფერი სიყვითლის - Flavescence Doree -ის იდენტიფიკაცია მოლეკულური დიაგნოსტიკის - რეალური დროის ჯაჭვური პოლიმერაზას (q PCR) მეთოდით. ასევე, ამავე მეთოდით, ჯიშებზე „შარდონებე“ და „ალექსანდროული“ ყველაზე მეტი სიხშირით დადასტურდა ფიტოპლაზმური დაავადება ვაზის ოქროსფერი სიყვითლის (Flavescence doree-FD) არსებობა.
- შესაბამისი ბიონფორმატიკის პროგრამით ახალი თაობის სექვენირების მეთოდის ათვისების მიზნით, სამუშაო ვიზიტი და კვლევა განხორციელდა COST (European Cooperation in Science and Technology)-ის მიერ დაფინანსებულ პროექტის „თხილის ბაქტერიული დაავადებების კვლევა ახალი თაობის სექვენირების მეთოდით“ ფარგლებში.

ტყის იშვიათი სახეობების გენეტიკური რესურსების შესწავლა, აბროსატყეო კულტურების კვლევა და ბიოლანდშაფტების მოწყობა:

- კოლექციაში დაცულია: ტყის ძირითადი სახეობები, 100 სახეობა, 500 მცენარე, ქარსაფარში გამოსაყენებელი სახეობები, წითელი ნუსხის, ხეხილის ველური წინაპრები, ვერხვის 25 ფორმა, თუთის 30 რეზისტენტული ფორმა, თუთის სადედე-საკალმე ბაღი;
- თესლის ბანკში დაცულია - ტყის იშვიათი სახეობების 16 ნიმუში;
- პირველად საქართველოში ჩატარებულია ტყის 14 იშვიათი სახეობის სრული ინვენტარიზაცია; მომზადებულია მონაცემთა ბაზა;
- პირველად საქართველოში განხორციელდა ვერხვის შერჩეული ადაპტირებული 7 კლონის ბიომასის შესწავლა მათი ენერგეტიკული პოტენციალის მიხედვით;
- ადგილობრივი პირობებისთვის ადაპტირებული ვერხვის სწრაფმზარდი ფორმების გამოვლენის მიზნით, პირველად საქართველოში განხორციელდა ვერხვის ახლისწრაფმზარდი 21 ჰიბრიდული კლონის შემოტანა და შემდგომი კვლევა;
- სამრწევლო და ენერგეტიკული პლანტაციების გაშენების მიზნით, განხორციელდა მიღებული ვერხვის ადაპტირებული ფორმების დიფერენცირება;
- შესწავლილი იქნა თუთის პროდუქტიული ჯიშებისა და ფორმების ზრდა-განვითარება, პროდუქტიულობა და დაავადებებისადმი გამძლეობა ზონალობის მიხედვით;
- სამკურნალო მცენარეების საკოლექციო ნაკვეთის მოწყობის მიზნით, ჯილაურას საცდელ-ექსპერიმენტულ ბაზაზე დაითესა 10 სხვადასხვა სამკურნალო მცენარის თესლი;
- დამზადებულია გოჯიბერის და თუთის ფოთლის შავი და მწვანე ექსპერიმენტული ჩაი;
- შემუშავდა სამკურნალო მცენარეების - კალენდულას (გულყვითელი) და სამკურნალო ტუხტის მოყვანის ტექნოლოგიური სქემა. (კერძო ფერმერის ტერიტორიაზე);
- საქართველოს ტყის იშვიათი და რელიქტური სახეობების შესწავლის და ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნის მიზნით, განხორციელდა ლოკაციების დაზუსტება-აღწერა;
- წინასწარ დამუშავებული ლიტერატურული წყაროებისა და ინვენტარიზაციის მასალებზე დაყრდნობით, განხორციელდა სავლე ექსპედიციები;
- მომზადდა საკვლევი მუხების - (კოლხური მუხა - *Quercus hartwissiana*, პონტოს მუხა - *Quercus pontica*) გავრცელების ამსახველი წერტილოვანი რუკები;
- მოლეკულური კვლევების ჩატარების მიზნით, ავსტრიაში გაგზავნილ იქნა მუხის ფოთლის ნიმუშები;



რისკის შეფასების შესაძლებლობების გაზრდა:

- დადასტურებულია, ძაღლის პოპულაციების მიერ მსხვილფეხა საქონლის ცოფით ინფიცირების ძირითადი რისკ ფაქტორი საქართველოში; რომლის შედეგები წარდგენილ იქნა ევროპის სურსათის უვნებლობის უზენაესი ორგანოს EFSA მიერ დაგეგმილ საერთაშორისო კონფერენციაზე „ერთი ჯანმრთელობა“;
- რისკის შეფასების სამეცნიერო დასკვნის საფუძველზე შემუშავდა რისკის პრევენციისა და მინიმიზირების რეკომენდაციები;
- განხორციელდა ფრთალაქიანი დროზოფილას - *Drosophila suzukii*-ს რისკის შეფასება;
- მომზადდა სამეცნიერო დასკვნა და შემუშავდა რისკის შემცირებისათვის შესაბამისი რეკომენდაციები ლაქებიანი ჭიჭინობელას - *Lycorma delicatula* -ს ფიტოსანიტარული რისკის შეფასება“;
- განხორციელდა ფიტოსანიტარული რისკის შეფასება, მომზადდა სამეცნიერო დასკვნა და შემუშავდა რისკის მართვის შესაბამისი რეკომენდაციები.
- განხორციელდა სუდანის ჯგუფის საღებავებით დაბინძურებული სხვადასხვა კატეგორიის სურსათის მოხმარებით განპირობებული რისკის შეფასება;
- მომზადდა სამეცნიერო დასკვნა და შემუშავდა შესაბამისი რისკის მინიმიზაციის რეკომენდაციები.;



საქართველოს მიწის ფონდის შესწავლის და ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესება:

- ნიადაგების საერთო მდგომარეობის შესწავლის ფარგლებში გამოკვლეულია ნიადაგის 25 ათასი ჰა ს/ს დანიშნულების ფართობი ახალქალაქის, ასპინძის, ახალციხის, ადიგენის, ბორჯომის, თიანეთის, მცხეთის, კასპის, ოზურგეთის და ქობულეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. აღებული და ლაბორატორიულ პირობებში შესწავლილია ნიადაგის 372 ნიმუში;
- საქართველოს მასშტაბით შესწავლილი 25 ათასი ჰა ფართობისათვის მომზადდა ნიადაგის 6 თემატიკური რუკა;
- გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ნიადაგის საერთაშორისო თანამშრომლობის სამდივნოს (GSP) მიერ შემუშავებული და 2023 წელს განახლებული მეთოდოლოგიის გამოყენებით, გრძელდება მონაცემების დამუშავება ნიადაგის ერობიის და ნიადაგში მაკროელემენტების (აზოტი, ფოსფორი, კალიუმი) შემცველობის ამსახველი ციფრული რუკების შესაქმნელად;
- ნიადაგის ნაყოფიერების შესწავლისა და შეფასება ს/კ ცენტრის საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთებზე ნიადაგის ნაყოფიერების შესწავლისა და შეფასების მიზნით აღებულ და გამოკვლეულ იქნა ნიადაგის 229 ნიმუში;
- ნიადაგის განოყიერების თემატიკის ირგვლივ შემუშავდა დ გაიცა 8 რეკომენდაცია;

მცენარეული სასუქებისა და ბიოპრეპარატების კომპლექსური გამოყენების შესაძლებლობები კვლევის ფარგლებში:

- განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების და არომატული სამკურნალო მცენარეთა ალელოპათიური ზემოქმედების შესწავლა;
- ჩითილების გაშენების, მოვლის, მათი ბიოპრეპარატებით გამოკვების და ფენოლოგიური დაკვირვებების მიზნით გამოყვანილი იქნა სატაცურის, პომიდვრის, ბროკოლის, რეჰანის, ქონდრის, სალათის, ბარამბოს, თავშავას, მაიორანის, ბამიას, გოგრის, იმერული ზაფრანას, გულყვითელას, დედოფლის ყვავილის ჩითილები;
- ღია გრუნტში, შემდგომი კვლევის მიზნით, განხორციელდა ზოგიერთი კულტურების (ბარდა, ხორბალი, ოხრახუში, ნიახური, პიტნა, კატა-პიტნა, კატაბალახა, კიტრისუნა, კამა, როზმარინი) თესვა;
- დამუშავდა ლიტერატურული მონაცემები შერეულ ნათესებში კულტივირებული არომატული და სამკურნალო მცენარეების სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენების შესახებ;
- გამოიცადა 50-მდე ადგილობრივი და უცხოური ბიოპრეპარატი. შესწავლილია მათი ეფექტიანობა სავეგეტაციო ფაზების შესაბამისად;
- კვლევები მიმდინარეობს სალუდე ქერის, შვრიის და ამარანტის ჯიშების შესწავლის და ორგანულად მოყვანის მიმართულებით; გამოიკვეთა სალუდე ქერის რამოდენიმე ჯიშ: ძველთესლი თეთრი, ახალთესლი ჯავახეთის, დვორანი, თეთნულდი, ალავერდის ჰიბრიდი;
- სალუდე ქერის, შვრიის და ამარანტის ჯიშებზე მიღებული შედეგების საფუძველზე მიმდინარეობს რეკომენდაციების შემუშავება-დახვეწა;
- დუშეთის, დედოფლისწყაროს და ხაშურის მუნიციპალიტეტებში ჩატარებული ექსპედიციებისას მოძიებული ქერის ჯიშები შეფასდა მათი ბიო-სამეურნეო, ორგანოლექტიკური, ფიზიოლოგიური და ხარისხობრივი მაჩვენებლები;
- სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიებში ბიოქიმიური მაჩვენებლების მიხედვით შესწავლილი ქერის 17 ჯიშიდან გამოიყო ლუდის წარმოებისათვის პერსპექტიული ქერის 10 ჯიში;
- მიღებული შედეგების საფუძველზე შემუშავდება რეკომენდაციები ფერმერებისათვის.

ქართული ვაზის გენოფონდის დაცვა, ქართული და ინტროდუცირებული ჯიშების შესწავლა და ენოლოგიური კოტინციალის შეფასება:

- ვაზის საკოლექციო ნარგაობაში დაცულია ვაზის ადგილობრივი კულტურული ჯიშების და ველური ფორმების 1000-მდე ნიმუში; ვაზის ინტროდუცირებული 500-მდე ჯიში; ფილოქსერაგამძლე ვაზის 14 ჯიშ-კლონი;
- ეროვნულ კატალოგში შეტანილია 81 ქართული ვაზის ადგილობრივი ჯიში;
- გრძელდება ჯიდაურას საკოლექციო ბაზაზე საველე და ლაბორატორიულ პირობებში ნაკლებად ცნობილი ქართული ადგილობრივი ვაზის და ინტროდუცირებული ხეხილოვანი კულტურების ჯიშების გამოვლენა და სამეურნეო - ტექნოლოგიურ ბრუნვაში ჩართვა;
- თანამედროვე ჰარმონიზირებული საერთაშორისო ამპელოგრაფიული დესკრიპტორების გამოყენებით შესწავლილ იქნა კოლექციაში დაცული ქართული მცირედ გავრცელებული და იშვიათი, თეთრი და წითელყურძნიანი, სასუფრე და საღვინე მიმართულების ვაზის 50 ჯიში;
- განხორციელდა ფენოლოგიური დაკვირვება საკოლექციო ნაკვეთში არსებულ ვაზის ჯიშებზე;
- საკვლევი ჯიშები აღწერილ იქნა OIV -ის დესკრიპტორების შესაბამისად 50-მდე ნიშნის მიხედვით;
- მიღებული იქნა ორბელური ოჯალემის სპონტანური მიკროფლორის ღვინის საფუარის ბიომასები;
- კვლევების მიზნით, მიღებულია 950 ლ მოცულობის წითელი და 1050 ლ მოცულობის თეთრი ღვინო.



სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების შესწავლა:

- შემუშავდა კურკოვანი ხილის და სასუფრე ყურძნის ნედლად შენახვის ახალი მეთოდი, რომლის მიხედვითაც შენახვის ვადა გახანგრძლივდა 20 დღემდე, ხოლო დანაკარგები შემცირდა 10-15%-მდე;
- ხურმის (*Diospyros kaki L.*) მწკლარტე ჯიშების შენახვისუნარიანობის შესწავლისა და ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების მეთოდის შემუშავების მიზნით, შესწავლილ იქნა საქართველოში გავრცელებული ხურმის სამი ჯიში: ხაჩია, როხო ბრილიანტე და კაკიტპო;
- განსაზღვრულ და დადგენილ იქნა ნედლეულის ქიმიური და ბიოქიმიური მაჩვენებლები, შენახვის ოპტიმალური პარამეტრები და ხანგრძლივობა;
- ნატურალური სასმელების სპექტრის გაფართოვებისა და ექსტრაქტების მიღების ენერგოდამზოგი ტექნოლოგიის შემუშავების მიზნით, შერჩეულ იქნა საბაზისო ნატურალური ხილი და დამატებითი კომპონენტები;
- შემუშავდა მურაბების (საფერავი, ჩხავერი) მიღების თანამედროვე ტექნოლოგია, ჟოლოს და კომშის წვენების გამოყენებით;
- განხორციელდა ექსპერიმენტული სამუშაოები ყურძნის ფუნქციური პროდუქტების მიღების მიმართულებით;
- შემაგრებული სასმელების მიღების მიზნით, მომზადდა ბიობარამბოს და წყავის სპირტიანი ექსტრაქტების საკვლევი ნიმუშები;
- ყურძნის გამოყენების სპექტრის გაფართოვების და მიღებული პროდუქტების ფუნქციონალური პოტენციალის შესწავლის მიზნით, შემუშავდა კომპოტის, ნექტარის, მურაბის, სმუზის მიღების ტექნოლოგია შაქრის გამოყენების გარეშე.
- კურკოვანი ხილის შრობის ტექნოლოგიის შემუშავების მიზნით, შესწავლილ იქნა ალუბლის 4 (შატენმორელი, კარნეოლი, მონტმორანსი და ქართული ალუბალი) და ქლიავის 5 (ტოპ ჰიტი, ამერსი, ჟოჟო, პრეზიდენტი, ბლუფერი) ჯიში, მათი ტექნოლოგიური მახასიათებლებისა და ფენოლური ნაერთების მიხედვით;
- მშრალი ხილის წარმოების მიზნით, გამოვლინდა ალუბლის ორი - კარნეოლი და მონტმორანსი და ქლიავის- ერთი - ჟოჟო ჯიშები;
- შემუშავდა იოგურტის ახალი ტექნოლოგიური რეცეპტურა (მშრალი რძე, დედო, გადამუშავებული მწვანე კაკალი) წინასწარ განსაზღვრული ნედლეულის (ძროხის ნედლი რძე) ფიზიკურ-ქიმიური და მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესწავლისა და შესატანი ინგრედიენტების - გადამუშავებული მწვანე კაკლის დოზების დადგენის საფუძველზე; განხორციელდა ციფრობრივი მონაცემების სტატისტიკური დამუშავება;
- განისაზღვრა ეკონომიკური ეფექტიანობა და გმოთვლილ იქნა იოგურტის თვითღირებულება;
- შემუშავებულია გადამუშავებული მწვანე კაკლის დამატებით იოგურტის (დამატკობლები: სტევიოზიდი, ყურძნის კონცენტრატი) დამზადების ახალი ტექნოლოგიის 3 ვარიანტი;
- კვლევები განხორციელდა იოგურტში ფენოლური ნაერთების შემცველობის დადგენის კუთხით კვლევები მიმდინარეობს;
- განხორციელდა სხვადასხვა ხე-მცენარეების მერქნის კვამლით შებოლილი სულგუნის კვრეულებიდან ნიმუშების აღება და საანალიზოდ მომზადება;

სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების თანამედროვე სამანქანო ტექნოლოგიების კვლევა:

- დამუშავდა მაღალკლირენსიან თვითმავალ შაბზე საკიდი ბრტყლად სასხლავი აპარატის ტექნოლოგიური და კინემატიკური სქემები;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ანასეულში გამოიცადა ჩაის ბუჩქების ბრტყლად სასხლავი აპარატის საცდელი ნიმუში;
- სამთო პირობებში მარცვლეული კულტურების - სიმინდის და ქერის თანამედროვე სამანქანო ტექნოლოგიების წარმოების მიზნით, მობილური სასოფლო-სამეურნეო აგრეგატებისთვის განსაზღვრულ იქნა წარმადობა, საწვავის და შრომის ხარჯი და ასახულ იქნა ტექნოლოგიურ ადაპტერებში ;

უპირუსო სათესლე და სარგავი მასალის მიღებისა და ჯიშების კონსერვაცია:

- ინ ვიტრო ლაბორატორიაში უწყვეტად მიმდინარეობდა მცენარეთა გამრავლება;
- კვლევის საფუძველზე გაიწერა ქართული ვაზის მცირედ გავრცელებულ 40 ჯიშზე მუშაობის პროტოკოლი, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ვაზის ჯიშების ინ-ვიტრო ფორმით გამრავლებას, სტერილურ გარემოსთან ადაპტაციასა და მათ გენბანკში კონსერვაციას;
- ჯიშების აღდგენა-დაცვისა და ინ ვიტრო კონსერვაციის მიზნით, ინვიტრო გენბანკში დაცულია 1480 მცენარე, მათ შორის: კარტოფილის 1400 CIP კლონი, ინტროდუცირებული და ადგილობრივი ვაზი - 15, ბატატი - 5, გოჯი ბერი 30, ქრიზანთემა -10, სხვა კულტურები -20;
- ჯიდაურას საკოლექციო ნაკვეთში განხორციელდა ვაზის 15 ჯიშის კლონური სელექცია;
- გამრავლდა კარტოფილის CIP კლონი, ადგილობრივი და ინტროდუცირებული ჯიშები, სულ 10 000-მდე მცენარე.
- გრძელდებოდა გენ-ბანკში დაცული სადედე მასალის განახლება და სუბკულტივირება;
- მიღებულ იქნა კარტოფილის SSSE ტუბერი სულ – 12 050 ცალი: CIP კლონი- 6 500 ცალი, ინტროდუცირებული ჯიშები 1200, მესხური- 1 500 ცალი, მესხური წითელი - 1 450 ცალი, ჯავახეთური - 1400 ცალი. მიღებული კარტოფილის ტუბერის რაოდენობა - 12 050 ცალი გამოყენებული იქნება შემდგომ კვლევაში, მიმდინარე წელს ორივე სეზონზე მიღებულ იქნა 21958 SSSE ტუბერი, გამრავლდა 10.000-ზე მეტი სინჯარის მცენარე.
- სამკურნალო კენკროვანი კულტურის გოჯი-ბერის ჯიშებისა და სახეობების (*Licium barbarum* - ნარიჯისფერი; *Licium Chinense* - წითელი გოჯი; *Licium Ruthenicum* - შავი გოჯი) შენარჩუნების მიზნით, განხორციელდა გემიური ინ ვიტრო გამრავლება და მათი ინ ვიტრო გენბანკში შენახვა.



ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კონსერვაციული ფორმების გენეტიკური რესურსების შემოწმება, შესწავლა და გამრავლების ტექნოლოგიის შემუშავება:

- აღდგენილია ქართული სელექციური ჩაის ჯიში „კოლხიდა-1“.
- ექსპედიციების ფარგლებში მოძიებულ და საკოლექციო ნაკვეთზე გაშენებულ იქნა: ციტრუსოვანთა 10 ჯიშ-ფორმა, ჩაის 1 ფორმა, კივის 2 ჯიშ-ფორმა, ფეიჰოას 2 ჯიშ-ფორმა, წაბლის რემონტა-ტული ჯიშ-ფორმა;
- ჩაის ჯიში „კოლხიდა“ სტანდარტული ნერგების წარმოების მიზნით, საკოლექციო ნაკვეთზე დამატებით გაშენდა 1000-მდე ნერგი;
- ფერმერულ მეურნეობისთვის გადაცემულ იქნა ჩაის ჯიში „კოლხიდა“-ს 2000 ცალი სტანდარტული ნერგი, ციტრუსოვნების (საადრეო ჯიშის მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი) 700 ცალი სტანდარტული ნერგი;
- ჯიშთა გამოცდა გრძელდება სუბტროპიკულ ზონაში ინტროდუცირებულ ავოკადოს სამი ჯიშ- ფორმაზე;
- სუბტროპიკული ზონისთვის დამახასიათებელ ნიადაგურ და კლიმატურ პირობების შემგუებლობის შესწავლის მიზნით გრძელდება დაკვირვებები ბიო-ორგანული მასის მწარმოებელ ინტროდუცირებულ კულტურაზე „მისკანტუსი“;
- ფერმერებსა და სხვა დაინტერესებულ პირებზე ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა მოვლა-მოყვანასთან დაკავშირებით, ფერმერებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს გაეწიათ რეკომენდაციები;



დნმ მარკერების გამოყენებით ქართული ვაზის ჯიშების იდენტიფიცირება და გენეტიკური მონაცემების ბაზის შექმნა:

- გრძელდება ვაზის მიკროსატელიტური მარკერების საშუალებით ქართული ვაზის ჯიშების შესწავლა;
- საექსტრაქციო მასალის აღება განხორციელდა როგორც ვაზის ჯიშებიდან, ასევე ერთწლოვანი კულტურების ჯიშებიდან. კერძოდ, დნმ-ის ექსტრაქცია განხორციელდა: ვაზის 70, ლობიოს - 6, ცულისპირას -4 და მუხუდოს - 4 ჯიშიდან
- 9 წყვილი ვაზის სატელიტური დნმ-ის მარკერის საშუალებით ვაზის სხვადასხვა ჯიშისა და ველური ფორმის 210 სინჯიდან მიღებულ იქნა PCR პროდუქტები;
- ესპანელ მკვლევართან ერთად, ქართული ვაზის ჯიშის 750 ნიმუშზე ჩატარდა გენეტიკური ანალიზი;

საქართველოში გავრცელებული შინაური ცხოველების, ფრინველების, თევზების და სამეურნეო-სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშების და პოპულაციების აღდგენა-გაუმჯობესება და გენეტიკური ბანკის შექმნა:

- გრძელდება კვლევები ცენტრის ბაზებზე, მუნიციპალიტეტებსა და ფერმერებზე გადაცემულ ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ჯიშების და პოპულაციების, ფრინველების, თევზებისა და სამეურნეო სასარგებლო მწერების ტიპურ სულადობებზე, მათი პოტენციალის შეფასების, პირველადი ზოოტექნიკური კვლევის, ჯიშური მიკვლევადობის სისტემაში ჩართვის მიზნით;
- გრძელდება სანაშენე საქმიანობის მეთვალყურეობა და ზედამხედველობა ფერმერულ მეურნეობებში;
- განხორციელდა ცხოველთა დაავადებების გავრცელების არელების შესწავლა და საწინააღმდეგო ღონისძიებების სისტემის შემუშავება;
 - მიმდინარეობდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ადგილობრივი ჯიშების და პოპულაციების მოძიება, შესწავლა, სანაშენე ბირთვების ჩამოყალიბება;
 - სამეგრელო-ზემო სვანეთის და გურიის რეგიონების მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სისხლის ნიმუშების სეროლოგიური გამოკვლევის მიზნით, მალაღმთიან საძოვრებზე განხორციელდა ექსპედიციები;
 - ექსპედიციური კვლევების საფუძველზე მოძიებული იქნა ადგილობრივი ჯიშები და პოპულაციები; გრძელდებოდა მათი იდენტიფიცირება, აღრიცხვა და პირველადი ზოოტექნიკური კვლევა;
 - შეიქმნა მიკროსასელექციო ბირთვები;
 - ცენტრის შესაბამისი სპეციალისტების ზედამხედველობით, ფერმერული მეურნეობებისთვის აუქციონის წესით გადაცემულ საკოლექციო ჯგუფებზე გრძელდებოდა ზოოტექნიკური კვლევები;
 - განხორციელდა სანაშენე და პროდუქტიული თვისებების შეფასება-აღიარება კავკასიური წაბლა ჯიშის 70 ფურზე, მეგრული წითელი საქონლის 38 და ქართული მთის ჯიშის 8 ფურზე, მოწესრიგდა პროდუქტიულობის ინდივიდუალური ბარათები;
 - დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ გომარეთში გრძელდება სანაშენე ფურების სასელექციო ჯგუფის ფორმირება. შეიქმნა სასელექციო ჯგუფი 25 სულზე;
 - მიმდინარეობდა კახური ღორის ზოოტექნიკური აღრიცხვის წარმოება - მოგება, იდენტიფიცირება, მერძეულობის დადგენა, ზრდის დინამიკის შესწავლა 12 თვემდე;
 - განხორციელდა მეგრული ჯიშის თხის პირველადი ბონიტირება და თხის სულადობის მონიტორინგი, რომლის შედეგად: მეგრული ჯიშის თხის 29 სული გაერთიანდებოდა პირველ კლასში, ხოლო 2 ნეზვი ელიტა კლასში.



- საერთაშორისო თანამშრომლობით საქართველოში პირველად ტარდება ქართული ფუტკრის დნმ ანალიზი;
- ქართული ფუტკრის მეგრული და გურული პოპულაციების შესწავლის მიზნით, განხორციელდა გურული პოპულაციის ფუტკრის ოჯახების ბონიტირება და მეგრული პოპულაციის ფუტკრის მორფოლოგიური კვლევა;
- დამზადდა და გამოირჩა თუთის აბრეშუმხვევიას 70-მდე ჯიშის დაახლოებით 1500 ნადები ჯანსაღი გრენა და 20 გრ ჰიბრიდული გრენა;
- კვლევები განხორციელდა ვეტერინარიის კუთხით გამოკვლეულია ცხოველების ჰელმინთოზური დაავადებების გავრცელების შესახებ;
- მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით დადგინდა იქნა, რომ დასავლეთ საქართველო კვლავ რჩება არაკეთილსაიმედო სხვადასხვა ჰელმინთოზური დაავადებების მიმართ;
- დასავლეთ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ექსპედიციების განხორციელებისა და ნიმუშების შეგროვების მიზნით მომზადდა გეგმა-გრაფიკი და განისაზღვრა მიკროარეალები;
- ელექტრონულ ბაზაში შეტანილია მეგრული წითელი ჯიშის ნახირების, დმანისის სადგურის და გომარეთის ფერმის კავკასიური წაბლა ჯიშის პირუტყვის და ქართული მთის ჯიშის შესწავლის მასალები;
- სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრმა მონაწილეობა მიიღო ყოველწლიურ გამოფენაში „მესაქონლეობის ექსპო / CattleExpo 2023“.
- გამოფენის ფარგლებში მოეწყო მაღალპროდუქტიული და ადგილობრივი სელექციური მსხვილფეხა პირუტყვის გამოფენა-შეჯიბრი, სადაც გამარჯვებული - სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დმანისის სასელექციო სადგურში გამოყვანილი კავკასიური წაბლა, მეგრული წითელი და ქართული მთის ხევსურული ჯილაგი გახდა.
- საგამოფენო სივრცეში დამთვალიერებელს საშუალება ჰქონდა მეცხოველეობის მიმართულებით ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ გამოცემულ დარგობრივ ლიტერატურასა და გზამკვლევს გასცნობოდა.

აგრორულ სფეროში თანამედროვე ტექნოლოგიებთან ხელმისაწვდომობა და სფეროში დასაქმებულთა ცოდნის ამაღლება კონსულტაცია:

- საქართველოს მასშტაბით კონსულტაცია გაეწია - 8000-მდე ფერმერსა და დაინტერესებულ პირს;
- სხვადასხვა სახელმწიფო პროექტების, „დანერგე მომავალი“ და სხვ. ფარგლებში ცენტრის მიერ გაცემულია 6000-მდე დასკვნა-რეკომენდაცია;

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თანამშრომლების მონაწილეობით ჩატარდა:

- 400-მდე თემატური ტრენინგი და ლექცია სემინარი;
- დამუშავებულია 40-მდე თემატური ბროშურა;
- 60-მდე სატელევიო და რადიო ეთერი;

გამოქვეყნებულია და გამოცემულია:

- 60 სახელმძღვანელო (წიგნი); 300-ზე მეტი სტატია; 150-მდე კონფერენციის თეზისები;
- 150-მდე კონფერენციის თეზისი;
- გამოცემულია 70-ზე მეტი რეკომენდაცია;
- გაშენებულია 9 საკოლექციო ბაღი